საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო
MINISTRY OF ENVIRONMENTAL PROTECTION AND AGRICULTURE OF GEORGIA
სსიპ სურსათის ეროვნული სააგენტო
LEPL NATIONAL FOOD AGENCY

# ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

N 218-9 17/12/2021

## სურსათის/ცხოველის საკვების სახელმწიფო კონტროლის აქტების ფორმების დამტკიცების თაობაზე

„სურსათის/ცხოველის საკვების უვნებლობის სახელმწიფო კონტროლის განხორციელების წესის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2015 წლის 16 ოქტომბრის №533 დადგენილების მე-18 მუხლისა და ,,საჯარო სამართლის იურიდიული პირის - სურსათის ეროვნული სააგენტოს დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის 2018 წლის 26 თებერვლის №2-107 ბრძანებით დამტკიცებული დებულების მე-3 მუხლის მე-2 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის შესაბამისად,

**ვბრძანებ:**

1. დამტკიცდეს სურსათის/ცხოველის საკვების სახელმწიფო კონტროლის აქტების ფორმები თანდართული რედაქციით:

ა) შესაბამისობის შეფასების აქტი (ივსება სურსათის/ცხოველის საკვების ჰიგიენის ზოგადი მოთხოვნების შემოწმების მიზნით) (დანართი №1);

ბ) შესაბამისობის შეფასების აქტი (ივსება პირველადი წარმოების ობიექტების ინსპექტირებისას ჰიგიენის ზოგადი მოთხოვნების შემოწმების მიზნით) (დანართი №2);

გ) შესაბამისობის შეფასების აქტი (ივსება მოძრავი და/ან დროებითი შენობის მიმართ ჰიგიენის ზოგადი მოთხოვნების შემოწმების მიზნით) (დანართი №3);

დ) შესაბამისობის შეფასების აქტი (ივსება სურსათის/ცხოველის საკვების ჰიგიენის გამარტივებული მოთხოვნების შემოწმების მიზნით)(დანართი №4);

ე) შესაბამისობის შეფასების აქტი (ივსება პირველადი წარმოების ობიექტების ინსპექტირებისას ჰიგიენის გამარტივებული მოთხოვნების შემოწმების მიზნით)(დანართი №5);

ვ) დოკუმენტური შემოწმების აქტი (დანართი №6);

ზ) ზედამხედველობის აქტი (დანართი №7);

თ) ნიმუშის აღების აქტი (დანართი №8);

ი) მიმართვა ნიმუშის ლაბორატორიულ გამოცდაზე (დანართი №9).

2. ბრძანება ამოქმედდეს ხელმოწერისთანავე.

ზურაბ ჩეკურაშვილი

სააგენტოს უფროსი